სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

ივლისი 2024

2024 წლის ივლისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **178 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 272 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **114 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივლისში **589 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 954 ლარი შეადგინა, კახეთში - 683 ლარი, თბილისში - 627 ლარი, ხოლო აჭარაში - 583 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2024 ივლისი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების[3] მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[4] 2024 წლის ივლისში, 2024 წლის ივნისთან შედარებით, 3.6%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.7%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 0.7%-ით შემცირდა.

2024 წლის ივლისში, 2023 წლის ივლისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 3.3%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2.9%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.6%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2024 ივლ/ 2024 ივნ	2024 ივლ/ 2023 ივლ	2024 ივლ/ 2024 ივნ	2024 ივლ/ 2023 ივლ	2024 ივლ/ 2024 ივნ	2024 ივლ/ 2023 ივლ
კახეთი	3.6%	7.5%	10.7%	8.9%	1.2%	7.2%
იმერეთი	0.0%	0.1%	0.9%	5.6%	-0.7%	-3.6%
გურია	17.1%	6.7%	17.1%	6.7%	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-
აჭარა	12.0%	-1.3%	10.6%	-0.9%	14.7%	-17.0%
რაჭა	-4.4%	0.0%	-	-	-4.4%	0.0%
შიდა ქართლი	5.7%	0.5%	0.0%	-2.3%	8.7%	4.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.9%	6.5%	-2.8%	10.8%	3.0%	2.8%
სამცხე-ჯავახეთი	12.5%	-0.4%	11.0%	0.8%	14.0%	-2.3%
მცხეთა-მთიანეთი	0.6%	14.5%	4.8%	12.1%	-3.5%	17.6%
თბილისი	-1.3%	4.1%	-0.9%	3.4%	-7.1%	18.9%
სულ ფასების % ცვლილება	**3.6%**	**3.3%**	**3.7%**	**2.9%**	**-0.7%**	**5.6%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2024 წლის ივლისში, 2024 წლის ივნისის ფასებთან და 2023 წლის ივლისის ფასებთან შედარებით.

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 ქვემო ქართლისთვის მონაცემები ვერ შეგროვდა მოცემულ თვეში.

4 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.